საქმე N2/3468-17

საოქმო განჩინება

28.11.2019 წელი **ქ. ქუთაისი**

ქუთაისის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე ციცინო მოსიძე
სხდომის მდივანი თეონა აბზიანიძე

კრედიტორი - სსიპ შემოსავლების სამსახური
წარმომადგენელი - მადონა გეწაძე

კრედიტორი - სს „თიბისი ბანკი“
წარმომადგენელი - კობა ქორიძე

მოვალე - შპს ,,ბაისო''
წარმომადგენლები - გია ფოლადიშვილი, გრიგოლ ხმელიძე

მეურვე - სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო
წარმომადგენელი - მიხეილ ლომთაძე

მოთხოვნა - შპს ,,ბაისოს'' გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, მე-7, მე-8, 27-ე, 37-ე, 39-ე, 55[1] მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოწვეულ იქნეს კრედიტორთა კრება 2019 წლის 18 დეკემბერს 14:00 საათზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქალაქი ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) სხდომის დარბაზი №5, შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება და აღიარება;

1.2. კრედიტორთა რეესტრის დამტკიცება.

2. განჩინება გამოქვეყნდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში;

3. განჩინება ასევე გამოქვეყნდეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ვებ. გვერდებზე. განჩინების საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ. გვერდზე გამოქვეყნება დაევალოს გაკოტრების მმართველს;

4. განჩინებაზე შეუძლია კერძო საჩივრის შეტანა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება მისი გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ქუთაისი კუპრაძის №11). ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

კრების თავმჯდომარე **ციცინო მოსიძე**

კრების მდივანი **თეონა აბზიანიძე**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2019.12.06 16:01:29 +04'00'